



გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯი

დამტკიცებულია
სსიპ ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის
სამუსიკო კოლეჯის დირექტორის მიერ:
ბრძანება N1/67
03.08.2020 წ.

სსიპ - ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

სსიპ - ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი შემუშავებულია „სახანძრო უსაფრთხოების წესებისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ივლისის N370 დადგენილების, „შრომის უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის და „საქართველოში მოქმედი სახანძრო უსაფრთხოების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2007 წლის 27 მარტის N449 ბრძანების საფუძველზე.

თავი 1.

სსიპ ქ. გორის სულხან ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებანი

სსიპ - ქ.გორის ს.ცინცაძის სახელობის სამუსიკო კოლეჯის (შემდგომში - „კოლეჯი“) ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის, პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი არეგულირებს კოლეჯში პროფესიულ სტუდენტთა და პერსონალის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და პირველადი სამედიცინო დახმარების პროცედურებს.

მუხლი 2. ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების ზომები

- 1.კოლეჯის ორივე სართულზე თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომლის შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში მოხდება შენობის უსაფრთხო დატოვება.
2. კოლეჯი აღჭურვილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია ცეცხლმაქრი ბალონები.
- 3.აკრძალულია კოლეჯის ტერიტორიაზე ადვილადაალებადი, ფეთქებადი და მხუთავი აირების შემცველი ნივთიერებების შეტანა/შენახვა.
4. საევაკუაციო განგაშის შემთხვევაში კოლეჯის თანამშრომლები იკავებენ მდგომარეობას უახლოეს გასასვლელებთან და მეთვალყურეობენ ევაკუაციის პროცესს.

5.საჭიროების შემთხვევაში, კოლეჯის მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერი უკავშირდება შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების სამსახურს ნომერზე 112.

მუხლი 3. კოლეჯის სადღეღამისო დაცვის მორიგე თანამშრომლების ვალდებულებები

1.კოლეჯის სადღეღამისო დაცვის მორიგე თანამშრომლები ვალდებული არიან:

- ა) შეატყობინონ ხანძრის გაჩენის შესახებ 112-ის სამსახურსა და კოლეჯის ხელმძღვანელობას;
- ბ) არსებული ძალებისა და საშუალებების გამოყენებით მიიღონ ზომები პროფესიულ სტუდენტთა, თანამშრომელთა და ქონების გადასარჩენად;
- გ) პერიოდულად შეამოწმონ ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებების ვარგისიანობა;
- დ) საჭიროების შემთხვევაში გამორთონ ელექტროენერგია, გადაკეტონ გაზის, ორთქლის და წყლის კომუნიკაციები. შეაჩერონ ავარიულ და მასთან მომიჯნავე სათავსებში სავენტილაციო სისტემების მუშაობა, შეასრულონ სხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს შენობის სათავსებში ხანძრის გავრცელებისა და დაკვამლიანების თავიდან აცილებას.;
- ე) შეწყვიტონ შენობაში ყველა სამუშაო, გარდა სამუშაოებისა, რომლებიც დაკავშირებულია ხანძრის ლიკვიდაციასთან.
- ვ) გაიყვანონ საშიში ზონის ფარგლებს გარეთ ყველა პირი, რომელიც არ მონაწილეობს ხანძრის ჩაქრობის პროცესში.
- ზ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მოსვლამდე განახორციელონ ხანძრის ჩაქრობის საერთო ხელმძღვანელობა.
- თ) უზრუნველყონ ხანძრის ჩაქრობაში მონაწილეთა მიერ უსაფრთხოების წესების მოთხოვნების დაცვა;
- ი) ხანძრის ჩაქრობასთან ერთად ორგანიზება გაუწიონ მატერიალურ ფასეულობათა ევაკუაციას და დაცვას;
- კ) ორგანიზება გაუწიონ სახანძრო დაცვის დანაყოფების შეხვედრას და მათთვის დახმარების აღმოჩენას ხანძრის კერასთან მისასვლელი უმოკლესი გზების შერჩევაში;
- ლ) მიაწოდონ ხანძრის ჩაქრობისა და საავარიო-სამაშველო სამუშაოებში მონაწილე სახანძრო დაცვის დანაყოფებს ცნობები იმ საშიში (ფეთქებადსაშიში), ფეთქებადი, ძლიერმოქმედი მომწამლავი ნივთიერებების შესახებ, რომლებიც ინახება კოლეჯში;
- მ) იქონიონ გამართულ მდგომარეობაში ხანძარსაწინააღმდეგო საშუალებები და სისტემები, მათ შორის, ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები, არ დაუშვან მათი არადანიშნულებისამებრ გამოყენება;
- ნ) სახანძრო დაცვის დანაყოფის მისვლისთანავე მიაწოდონ ინფორმაცია ხანძრის ჩაქრობის ხელმძღვანელს ობიექტის კონსტრუქციული და ტექნოლოგიური თავისებურებების, მომიჯნავე შენობებისა და ნაგებობების შესახებ.

მუხლი 4. კოლეჯის ვალდებულებები

1. კოლეჯი ვალდებულია:

- ა) უზრუნველყოს სასწავლო წლის დაწყებამდე შენობება-ნაგებობების ამ წესით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის კონტროლი.
- ბ) უზრუნველყოს გათბობის სეზონის დაწყებამდე ღუმელების, საქვაბეების, გენერატორების, გათბობის სხვა ხელსაწყოებისა და სისტემების შემოწმება და საჭიროების შემთხვევაში შეკეთება, რათა გამოირიცხოს გაუმართავი ღუმელებისა და სხვა ხელსაწყოების ექსპლუატაცია.

გ) უზრუნველყოს კოლეჯის თანამშრომელთათვის სახანძრო უსაფრთხოების წესების შესწავლის მიზნით მეცადინეობების ორგანიზება.

მუხლი 5. კოლეჯის თანამშრომელთა უფლება-მოვალეობები

4.1 კოლეჯის თანამშრომელთა მოვალეობები:

ა) დაიცვან ხანძარსაწინააღმდეგო წესები და შეასრულონ სახანძრო უსაფრთხოების ღონისძიებები.

ბ) ხანძრის ან წვის ნიშნების აღმოჩენის (დაკვამლიანების, დამწვრის სუნის, ტემპერატურის აწევის და ა.შ.) შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეატყობინონ სახანძრო სამსახურს და შეძლებისდაგვარად მიიღონ ზომები ადამიანთა სიცოცხლის, ჯანმრთელობის, ქონების გადასარჩენად და ხანძრის ჩასაქრობად.

4.3 კოლეჯის თანამშრომელთა უფლებები:

ა) ხანძრის შემთხვევაში დაიცვან თავიანთი სიცოცხლე, ჯანმრთელობა და ქონება.

ბ) მიიღონ მონაწილეობა ხანძრის გამომწვევი იმ მიზეზების დადგენაში, რომელმაც ზიანი მიაყენა მათ ჯანმრთელობასა და ქონებას.

გ) მიიღონ ინფორმაცია სახანძრო უსაფრთხოების საკითხებზე.

დ) განახორციელონ კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

მუხლი 6. კოლეჯის სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის მოვალეობები

1. შეისწავლოს კოლეჯის შენობა და ელექტროგაყვანილობა სახანძრო დაცვის თვალსაზრისით;

2. იცოდეს ელექტროენერჯის მიწოდების წყარო, მისი საერთო გამომრთველის მდებარეობა, ელექტროგაყვანილობის ვარგისიანობა, სუსტი ადგილები;

3. სისტემატიურად ახორციელებდეს ხანძარსაწინააღმდეგო პროფილაქტიკურ ღონისძიებებს, ამოწმებდეს ელექტრობაზე მდგომარეობას, ტერიტორიის დასუფთავებას, ცეცხლმაქრი საშუალებების მარაგის არსებობას და სხვა;

4. იცოდეს კოლეჯის პერსონალის რაოდენობა ავარიის შემთხვევაში მათთვის დახმარების გაწევის უზრუნველსაყოფად.

6.1. ექსტრემალური ვითარების განვითარებისას იგი მოვალეა:

ა) სისტემატიურად მოახსენოს საგანგებო შტაბის უფროსს გაწეული საქმიანობის შესახებ;

ბ) სასწრაფოდ შეატყობინოს არსებული სიტუაციის შესახებ შესაბამის საგანგებო სიტუაციების მართვის ორგანოს;

გ) არსებული საშუალებების გამოყენებით განახორციელოს ცეცხლის ქრობა და მისი ლოკალიზება, თუ მის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას საფრთხე ემუქრება;

დ) ადგილზე მეხანძრე-მაშველებს მოახსენოს საქმის ვითარება.

მუხლი 7. სახანძრო უსაფრთხოების უზრუნველყოფის ორგანიზაციული ღონისძიებები

1. კოლეჯის ტერიტორიაზე უნდა იყოს დადგენილი და დაცული ობიექტის სახანძრო უსაფრთხოების ცალკეული მოთხოვნები, რომლებიც სახანძრო უსაფრთხოების

უზრუნველსაყოფად ადგენს ადამიანის ქცევის, წარმოების ორგანიზების ან/და ორგანიზაციის, ობიექტის ტერიტორიის, შენობის, ნაგებობისა და სათავსის მოვლა-პატრონობის წესებს – სახანძრო საშიშროების შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმი.

2. შენობა-ნაგებობების ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური საშუალებების ეფექტური მუშაობის უზრუნველსაყოფად კოლეჯის თანამშრომელთაგან უნდა დაინიშნოს ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ექსპლუატაციაზე, ტექნიკურ მომსახურებაზე, მათ შეკეთებაზე, დაცვასა და გამოყენებისათვის მზადყოფნაზე პასუხისმგებელი პირი (ასეთი სისტემების არსებობის შემთხვევაში).

3. კოლეჯის ტერიტორიაზე ხანძარსაწინააღმდეგო დაცვის სისტემების ტექნიკური მომსახურების და გეგმური შეკეთების პერიოდში, რომლის დროსაც საჭიროა დანადგარების (ცალკეული ხაზები, მაუწყებლები) ან სისტემის გათიშვა, კოლეჯის ხელმძღვანელმა ან შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირმა აუცილებლობის შემთხვევაში უნდა უზრუნველყოს დამატებითი ზომების მიღება შენობა-ნაგებობების, სათავსების, ტექნოლოგიური მოწყობილობების ხანძრისაგან დასაცავად.

თავი 2.

პირველადი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

მუხლი 8. სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი

- ა) სტუდენტებსა და კოლეჯის თანამშრომლებს უფლება აქვთ ნებისმიერ დროს მიმართონ კოლეჯის ექთანს და მიიღონ შესაბამისი კონსულტაცია ან სამედიცინო დახმარება.
- ბ) თუ სტუდენტი ან კოლეჯის თანამშრომელი ვერ ახერხებს კოლეჯის მედდასთან დამოუკიდებლად მისვლას, ამის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს კოლეჯის ექთანს, დაცვის სამსახურს ან ადმინისტრაციას, რომლებიც ვალდებული არიან მიიყვანონ ეს პიროვნება სამედიცინო პუნქტთან.
- გ) თუ სტუდენტის ან კოლეჯის თანამშრომლის ჯანმრთელობის მდგომარეობის სირთულიდან გამომდინარე ეჭვქვეშ დგება მისი გადაადგილების უსაფრთხოება, კოლეჯში მყოფ ნებისმიერ პირს უფლება აქვს აცნობოს კოლეჯის ექთანს და სთხოვოს მას ავადმყოფის ადგილზე გასინჯვა. კოლეჯის ექთანი ვალდებულია დააკმაყოფილოს ეს თხოვნა.
- დ) აუცილებლობის შემთხვევაში კოლეჯის ექთანმა დაუყოვნებლივ უნდა გამოიძახოს სასწრაფო დახმარება და საჭიროების შემთხვევაში სხვა სამსახურები (პოლიცია და ა.შ).
- ე) სასწრაფო სამედიცინო დახმარების სამსახურის გამოძახებისას, კოლეჯის ექთანმა ოპერატორს უნდა მიაწოდოს ზუსტი ინფორმაცია, კერძოდ:
 - ე.ა. საკუთარი ტელეფონის ნომერი;
 - ე.ბ. კოლეჯის მისამართი;
 - ე.გ. ინფორმაცია შემთხვევის შესახებ;
 - ე.დ. დაზარალებულთა რაოდენობა, სქესი, ასაკი და ზოგადი მდგომარეობა;
 - ე.ე ნებისმიერი სხვა საჭირო ინფორმაცია.

8.1. კოლეჯის ექთნის ძირითადი ფუნქციებია:

- ა) უზრუნველყოფს კოლეჯის სამედიცინო, სანიტარული –ჰიგიენური ნორმების დაცვას;

ბ) აძლევს რეკომენდაციებს კოლეჯის თანამშრომლებს და მშობლებს მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების სამედიცინო გამოკვლევის შედეგებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ;

გ) აუცილებლობის შემთხვევაში, პირველად სამედიცინო დახმარებას უწევს დაწესებულების თანამშრომლებს, მოსწავლეებს და პროფესიულ სტუდენტებს და შესაბამისად, აღრიცხავს გამოყოფილ სპეციალურ ჟურნალში;

დ) აწარმოებს სამედიცინო დოკუმენტაციას როგორც კოლეჯის მოსწავლეების, პროფესიული სტუდენტების, ასევე თანამშრომლების შესახებ;

ე) უზრუნველყოფს კოლეჯის წინაშე არსებული სამედიცინო კუთხით არსებული ამოცანების და ფუნქციების შესრულებას;

ვ) განსაკუთრებული ყურადღებას აქცევს, აღრიცხავს და მეთვალყურეობას უწევს ავადმყოფ სტუდენტებს. ასევე, ზრუნავს კოლეჯის სამედიცინო მომსახურების ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისთვის;

ზ) ფლობს ინფორმაციას კოლეჯში მოსწავლეების, პროფესიულ სტუდენტთა (მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები და სტუდენტები) და თანამშრომელთა რაოდენობის შესახებ;

თ) უზრუნველყოფს ინფექციური, თუ ვირუსული დაავადების გავრცელების ან მათი გავრცელების პრევენციის მიზნით სამედიცინო კონსულტაციების გაწევას კოლეჯის პროფესიული სტუდენტებისა და თანამშრომლებისათვის;

ი) უზრუნველყოფს კოლეჯში ახალ კორონავირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით სისტემატურად განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების კონტროლს;

კ) კოლეჯში ახალი კორონავირუსული ინფექციის პრევენციის მიზნით შეიმუშავებს სპეციალური აღრიცხვის ჟურნალებს (თანამშრომელთა ტემპერატურის აღრიცხვის, დეზინფექციის ჩატარების აღრიცხვის, თანამშრომელთა რესპირატორული სიმპტომების აღრიცხვის და ა.შ.);

ლ) ასრულებს კოლეჯის დირექტორის სხვა კანონიერ დავალებებს, რომელიც დაკავშირებულია მისი საქმიანობის განხორციელებასთან.

მუხლი 9. კოლეჯის ვალდებულებები პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოების, ევაკუაციის და მომატებული საფრთხის მიმართულებით.

1. კოლეჯი ვალდებულია:

ა) საქმიანობის სფეროსა და სხვა პირობების გათვალისწინებით მიიღოს პირველადი სამედიცინო დახმარების, სახანძრო უსაფრთხოებისა და ევაკუაციის უზრუნველსაყოფად აუცილებელი ზომები;

ბ) განახორციელოს აუცილებელი და მყისიერი კომუნიკაცია სასწრაფო, სამაშველო, სახანძრო და სხვა სპეციალიზებულ სამსახურებთან.

2. პირადად ან/და დანიშნული/მოწვეული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის ან სპეციალური სამსახურის მეშვეობით დაუყოვნებლივ აცნობოს ყველა დასაქმებულსა და სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომლებსაც ემუქრებათ ან შეიძლება დაემუქროთ მომეტებული საფრთხე, პრევენციული და საევაკუაციო ზომებისა და უსაფრთხოების ღონისძიებების შესახებ.

3. მომეტებული საფრთხის წარმოშობის შემთხვევაში კოლეჯი ვალდებულია მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა და გასცეს სამუშაოს შეწყვეტის ბრძანება, რათა დასაქმებულებმა და სამუშაო სივრცეში მყოფმა სხვა პირებმა შეძლონ სამუშაო ადგილებიდან უსაფრთხო ზონაში გასვლა.

4. კოლეჯს უფლება არ აქვს, მოსთხოვოს დასაქმებულს ან სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს სამუშაოს გაგრძელება მანამ, სანამ არსებობს მომეტებული საფრთხე;

5. დასაქმებული არ უნდა აღმოჩნდეს არახელსაყრელ მდგომარეობაში მომეტებული საფრთხის არსებობის დროს სამუშაო ადგილის ან/და საფრთხის შემცველი ტერიტორიის მიტოვებისას საკუთარი ქმედების გამო და დაცული უნდა იყოს ზიანის მომტანი შედეგებისაგან.

6. კოლეჯმა უნდა იზრუნოს, რომ მომეტებული საფრთხის არსებობის შემთხვევაში თითოეულ დასაქმებულს/სამუშაო სივრცეში მყოფ სხვა პირს, რომელსაც არ შეუძლია მიმართოს უშუალო ხელმძღვანელს, ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს შესაბამისი ზომები, მათ შორის, დატოვოს სამუშაო ადგილი, საკუთარი ან სხვა პირების უსაფრთხოების დასაცავად, რათა თავიდან იქნეს აცილებული აღნიშნული საფრთხის შედეგები.

7. კოლეჯი ვალდებულია არ ჩააყენოს დასაქმებული არახელსაყრელ მდგომარეობაში ამ მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული ზომების მიღების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დასაქმებულმა დაუდევარი ან/და გაუფრთხილებელი ქმედებები განახორციელა.

თავი 3.

წესრიგის დაცვის უზრუნველყოფის წესი

მუხლი 10. კოლეჯში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვა

10.1 წესრიგის და უსაფრთხოების დაცვის მიზნით, საშტატო ნუსხის შესაბამისად, კოლეჯს ჰყავს სადღეღამისო დაცვა - დარაჯები, რომლებიც უზრუნველყოფენ კოლეჯში წესრიგის დაცვას.

10.2. დარაჯის უფლებები და მოვალეობები:

ა) დარაჯი ანგარიშვალდებულია დირექტორის და მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის მენეჯერის წინაშე და მას ევალება:

ბ) უზრუნველყოფს შენობის ინტერიერისა და გარე პერიმეტრის ფიზიკური დაცვას;

გ) კოლეჯის მატერიალური ფასეულობების დაცვის უზრუნველყოფა;

დ) კოლეჯის სტუდენტთა და პერსონალისათვის უსაფრთხო სასწავლო და სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა;

ე) სახანძრო ევაკუაციის ინსტრუქტაჟის შესრულებაზე პასუხისმგებლობა;

ვ) ელექტროენერჯის, გაზისა და წყლის გაყვანილობის გამართულობასა და ყაირათიანად ხარჯვაზე კონტროლი;

ზ) პირთა შენობაში დაშვების კონტროლი;

თ) რაიმე საფრთხის არსებობის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს მის შესახებ კოლეჯის ადმინისტრაციას და შესაბამის სამსახურებს;

ი) სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შენობის პერიმეტრზე უსაფრთხო გადაადგილების უზრუნველყოფა;

კ) კოლეჯის დირექტორის სხვა კანონიერი დავალებების შესრულება, რომელიც დაკავშირებულია მისი უფლებამოსილების განხორციელებასთან.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებანი

3.1. წინამდებარე წესში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანა ხორციელდება კოლეჯის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ - სამართლებრივი აქტის საფუძველზე.